

ბაღაშენების ზღვარზე მყოფი კახური ღორის აღდგენა

ლ.უჯმაჯურიძე—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
რ.მიტინაშვილი—ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შ.ფოცხვერია—ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი,
ც.ქილიფთარი—სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: კახური ღორი, მოშენება, სელექცია, ჰელმინთოზი.

რეზიუმე

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარეობს კახური ღორის აღდგენის სამუშაოები. კერძოდ, მოძიებულია მისი გავრცელების კერები. შესყიდული ტიპური ინდივიდებისაგან შეიქმნა კახური ღორის სანაშენე ფერმა, რომელიც სანაშენე მოზარდით მოამარაგებს საკარმიდამო და ფერმერულ მეურნეობებს. ფერმაში რეგისტრირებულია სხვადასხვა ასაკის 140 კახური ღორი. დადგინდა კახური ღორის ჰელმინთოზური დაავადებები. ესპანურ კომპანია „DERAZI iberico“-სთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულია კახური ღორის აღდგენის სამუშაოთა ხელშეწყობა, მსოფლიოში ცნობილი ბრენდის-ჰამონის და სხვა პრო-დუქტების დამზადება და საერთაშორისო ბაზარზე გატანა. წარმოებულია ჰამონის პირველი პროდუქცია.

შესავალი. ოდიღან, კახური ღორის მოშენებას ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგო-დეხისა და თიანეთის რაიონებში მისდევენ. აქ, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების დაახლოებით 250 კმ ფართობზე არსებული ნაყოფისმომცემი ტყეები ათასობით ტონა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს (რკო, წაბლი, თხილი, პანტა, მაჟალო, ზღმარტლი, შინდი, მაყვალი, კუნელი, კოწახური, მოცხარი, მოცვი და სხვ.) იძლევიან. საკვების ძიების დიდი უნარის წყალობით, ამ პროდუქციას მხოლოდ მომთაბარე კახური ღორი იყენებს [1]. არსებული პოტენციალით ერთი წლის მანძილზე შესაძლებელია 200 ათასამდე კახური ღორის გასუქება, რაც ჩვენი გათვლებით საკარმიდამო და ფერმერულ მეურნეობებს მნიშვნელოვან მოგებას მისცემს. რიგი მიზეზების გამო, დღეს კახური ღორი გადაშენების ზღვარზეა. ამჟამად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარეობს მისი აღდგენისა და გაუმჯობესების სამუშაოები, რომლის უმთავრესი მიზანია კახური ღორის გენეტიკური ბანკის შექმნა. ასევე, ამ სამუშაოთა პრიორიტეტული მიმართულებაა მსოფლიოში აღიარებული ბრენდის – ჰამონის დამზადება, რომელიც მით უფრო ძვირადღირებულია, რაც უფრო მეტად აქვს მოშენებულ ჯიშს გარეული ღორის სისხლი. ამ მხრივ კახური ღორი ცნობილია როგორც პირდაპირი მოშინაურების კლასიკური მაგალითი საკუთარ გარეულ წინაპართან გენოტიპური და ფენოტიპური მანკვინებლებით დიდი მსგავსების გამო. მე-20 საუკუნის ბოლოს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა დანერგვამ წარმოების ადრე დამკვიდრებული პირობებისა და ნორმების შეცვლა გამოიწვია. ახალი მიდგომების გამო აუცილებელი გახდა პირუტყვის სულადობის ოპტიმიზაცია. შემცირდა ყველა სახის პირუტყვის, მათ შორის ღორის რაოდენობა, რაც მეცხოველეობის დარგში ეპიზოოტიური სიტუაციის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. კახური ღორის აღდგენის სამუშაოებზე მისი გავლენის დასადგენად, გადაწყდა ქვეყანაში ღორის (მ.შ. კახური ღორის) ჰელმინთოზურ დაავადებათა არსებული ეპიზოოტიური სიტუაციის შესწავლა, რომლის ცოდნის გარეშე რთულია ჰელმინთოზების პრევენცია.

კვლევის ობიექტი და მეთოდიკა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მომთაბარე კახური ღორის ტიპური ინდივიდები, რომლებიც მოძიებისა და შეძენის შემდეგ, მოსაშენებლად განთავსებული არიან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის საცდელი ბაზის ფერმაში. აქ მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა მათი ნაყო-ფიერების, ცოცხალი მასის და ადრეულობის ასამაღლებლად. შემდგომში მოხდება ჯიშის კონსოლიდაცია და სტანდარტის განსაზღვრა, რაც საფუძვლავად დაედება გენეტიკური ბანკის შექმნას.

ღორის ჰელმინთოზების ეპიზოოტიური სიტუაციის შესწავლის მიზნით, 2014-2017 წლებში, საკარმიდამო და ფერმერულ მეურნეობებში კოპროლოგიურად ვიკვლევით 4-10 თვის ასაკის ღორებს. ჰელმინთებით შედარებით დაინვაზიების დასადგენად, გამოსაკვლევი ღორები,

რომელთა რაოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული, დაყოფილი გეგამდა კახური და ნაჯვარი ღორების ჯგუფებად.

კვლევის შედეგები. კახური ღორი მიღებულია ხალხური სელექციით თავისი გარეული წინაპრის (ევროპული გარეული ღორის კავკასიური პოპულაცია - *Sus chirofa attila*) პირდაპირი მოშინაურების შედეგად. ამის დასტურია მისი ფენოტიპური მსგავსება გარეულ წინაპართან, ახალდაბადებული გოჭების განივზოლიანობა, ასევე, ჩვენ მიერ ადრე ჩატარებული იმუნოგენეტიკური, კრანოლოგიური და ქრომოსომების მორფოლოგიური შესწავლის შედეგები [2,3].



სურ. 1. კახური ღორის გოჭების განივზოლიანობა



სურ. 2. კახური ღორის კოლტი (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. დედისფერული)

კახური ღორი გვიანმწიფადი და დაბალნაყოფიერი ცხოველია, რაც გაპირობებულია ექსტრემალურ პირობებში პირდაპირი მოშინაურებით. მისი ცოცხალი მასაა 100-110 კგ, ნაყოფიერება-5-8 გოჭი, მერძეულობა-25-30 კგ. ტანხორცის მასიდან სუფთა ხორცის გამოსავალი 63%-ს შეადგენს, რომლის მიხედვით იგი თანამედროვე კულტურული ჯიშების დონეზეა, ხოლო ზოგიერთს აჭარბებს კიდევ [4,5].

ჩვენს მიერ კახური ღორის ტიპური ინდივიდები მოძიებულ იქნა ახმეტის მუნიციპალიტეტში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანას“ მეურნეობასა და სოფელ დედისფერულში, ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლასკელიში. ისინი შექმნილ იქნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ და ამჟამად განთავსებულია არიან ჩვენი ცენტრის კრწანისის ტყე-პარკის მეცხოველეობის საცდელ ბაზაზე.

2017 წელს შესრულებული კვლევითი სამუშაოების შედეგების თანახმად კახური ღორის ნეზვების საშუალო ნაყოფიერებამ 6,25 გოჭი შეადგინა, მსხვილნაყოფიერებამ (ცოცხალი მასა დაბადებისას)- 0,95 კგ, ნეზვების მერძეულობამ, საშუალოდ - 27,4 კგ, ბუდის წონამ ორი თვის ასაკში- 50 კგ, ხოლო ამავე ასაკში ერთი გოჭის საშუალო ცოცხალი მასამ - 8,24 კგ, რაც კახური ღორისათვის კარგი სტანდარტული მაჩვენებლებია და შესაბამისობაშია ადრე არსებული სტანდარტის მაჩვენებლებთან.

სასელექციო სამუშაოთა შედეგად, ამჟამად ფერმაშია 140 კახური ღორი. მიმდინარე წლის ბოლომდე მისი სულადობა 200-მდე გაზრდება. ახლო მომავალში, ფერმამ უნდა შეასრულოს პირველი რიგის რეპროდუქტორის ფუნქცია, რომელიც სანაშენო მოზარდით (სანეზვეები და საკერატეები) მოამარაგებს ნაყოფისმომცემი ტყის მასივებში არსებულ შვილეულ ფერმერულ და საკარმიდამო მეურნეობებს, სადაც მიზანმიმართულ სელექციას უნდა უხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა.

კახური ღორის შვილეული მეურნეობების ჩამოყალიბების კვალობაზე დადგინდება ჯიშის ახალი ზოოტექნიკური სტანდარტი. იგი შეუდარდება ძველ სტანდარტს, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება მომავალი სასელექციო მუშაობის პროგრამის შედგენა. სასურველი ზოოტექნიკური მაჩვენებლების მიღწევის შემდეგ, გამაუმჯობესებელი კერატი მწარმოებლებიდან აღებულ იქნება სპერმა, მოხდება მისი კრიოკონსერვაცია და გენეტიკური ბანკის შექმნა.

ამით შენარჩუნდება კახური ღორის უნიკალური გენოფონდი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება ახალი ორიგინალური ჯიშების შექმნისა და მათი რეზისტენტობის ასამაღლებლად.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და ესპანურ კომპანია „DERAZI iberico“-ს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს კახური ღორის აღდგენა-მოშენების სამუშაოთა ხელშეწყობას, ქვეყანაში მომთაბარე მეღორეობის აღორძინებას, ტყის ნაყოფის დიდი რეზერვების ათვისებას და მაღალხარისხიანი ღორის ხორცის წარმოებას, რაც უნდა გადაიზარდოს კახური ღორისაგან მსოფლიოში ცნობილი ბრენდის – ჰამონის წარმოებაში. 2015 წლის დეკემბერსა და 2017 იანვარში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა ესპანელ კოლეგებთან ერთად ჩატარეს პირველი დაკვლები და დაიწყო ხორცის ნედლად შრობა ჰამონის დასამზადებლად.



სურ. 3. მარკეტში ნაყადი ღორის ხორცი (მარცხნივ) და კახური ღორის მარმარისებრი ხორცი



სურ. 4. ჰამონის დასამზადებლად ღორის ბარკლების ნედლად შრობა

ამჟამად, დასრულებულია ხორცის ნედლად შრობის ექსპერიმენტი და კახური ღორის ნაკლავიდან დამზადებულია პირველი ქართული ჰამონი. უნდა აღინიშნოს, რომ ტყეში გასუქებული კახური ჯიშის ღორის ხორცის ნედლად შრობის ვადები მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც განპირობებულია ჯიშური თავისებურებებით და საქართველოში ღორის შენახვის მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. მალე ჩატარდება კახური ღორების დაკვლის მეორე სერია და ჰამონის შრობასთან ერთად იგეგმება სხვა ხორცპროდუქტების დამზადება.

საქართველოში ღორის ჰელმინთოზების ეპიზოოტიური მდგომარეობის დადგენის მიზნით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა 1047 ღორი, მათ შორის 728 რთული ნაჯვარი და 319 კახური ღორი. გაირკვა, რომ ქვეყანაში ძირითადად გავრცელებულია ღორის ოთხი ჰელმინთოზი – ასაკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი, ტრიქოცეფალოზი და მეტასტრონგილოზი, რომელთა აღმძვრელებით დაინვაზიებული აღმოჩნდა გამოკვლეული მთელი სულადობის 45,6%. აღსანიშნავია, რომ შერეული ჰელმინთებით უფრო ნაჯვარი ღორი იყო დაინვაზიებული (47,7%), ვიდრე კახური (41,1%). ყველგან გავრცელებულია ეზოფაგოსტომოზი, რომლის აღმძვრელებით დაინვაზიებულია გამოკვლეული სულადობის 34,7%, ხოლო ნაჯვარი და კახური ღორის მიხედვით, შესაბამისად, 32,6 და 39,6%. ასევე გაირკვა, რომ კახური ღორი ნაკლებად არის დაინვაზიებული ასაკარიდებით, ტრიქოცეფალოუსებით და მეტასტრონგილოუსებით (შესაბამისად, 1,6–1,6–0,6%), ვიდრე ნაჯვარი ღორი (შესაბამისად, 16,1 – 4,7 – 5,1%).

ის ფაქტი, რომ ნაჯვართან შედარებით კახური ღორი უფრო ნაკლებად არის დაინვაზიებული ბოლოს დასახელებული სამი ჰელმინთით, შეიძლება აიხსნას პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში ტყეში მისი ყოფნისას მცენარეული საკვებით (რკო, წაბლი, თხილი, პანტა, მაყალო, ზღმარტლი, შინდი, მაყვალი, კუნელი, კოწახური, მოცხარი, მოცვი და სხვ.) კვებით, რის შედეგად ღორის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში იქმნება ასკარიდების, ტრიქოცეფალოუსებისა და მეტასტრონგილოუსების ცხოველმყოფელობისათვის საწინააღმდეგო არე. ამ მოსაზრებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ელკანას მეურნეობაში, სადაც 32 კახური ღორი

გამოვიკვლიეთ, ასკარიდებით და ტრიქოცეფალოუსებით დაინვაზიებული იყო სტაციონარულ პირობებში ანუ დოღფარებში მყოფი სულაღობა [6].

აღსანიშნავია, რომ 2015-2017 წლებში, დაკვლის შემდეგ, ტრიქინელოსკოპიის მეტო-დით ხუთი კახური ღორის ტანხორცის გამოკვლევისას, ტრიქინელებით მათი დაინვაზიება არ გამოვლინდა.

დასკვნა. წარმატებით დასრულდა გადაშენების ზღვრზე მყოფი კახური ღორის მოძიების, გამრავლებისა და საცდელი კოლტის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი. ამჟამად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეღორეობის ფერმაში მოშენებულია 140 სული კახური ღორი. 2015-2017 წლებში ჩატარდა კახური ღორის საკონტროლო დაკვლები, დამზადდა პირველი ქართული ჰამონი. უახლოეს პერიოდში ჩატარდება მესამე დაკვლა, რომელიც ჰამონის გარდა სხვა ხორცპროდუქტების დამზადებასაც ითვალისწინებს.

საქართველოში უპირატესად გავრცელებულია ღორის ეზოფაგოსტომოზი, ასკარიდოზი, ტრიქოცეფალოზი და მეტასტრონგილოზი. მათი აღმძვრელებით უფრო მეტად დაინვაზიებულია ნაჯვარი ღორი (47,7%), ვიდრე კახური ღორი (41,1), რაც, ნაჯვართან შედარებით, ტყის პირობებში გამოზრდილი კახური ღორის ორგანიზმის მაღალი რეზისტენტობით და ტყის მცენარეული საკვების მიღების შედეგად მის კუჭნაწლავის ტრაქტში გარკვეული ჰელმინთოციდური თვისებების მქონე არის შექმნილი უნდა იყოს გამოწვეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.მიტიჩაშვილი. ცხოველთა მომშენებლობა. თბილისი. 2010, 800 გვ.
2. Тихонов В.Н., Митичашвили Р.С. Иммуногенетическая изменчивость при селекции заводских и аборигенных пород свиней. Цитология и генетика. 1990, т. 24, № 1, ст. 34-39.
3. Тихонов В.Н., Митичашвили Р.С. Краниологические особенности дикого кабана и некоторых аборигенных свиней Грузии. Тбилиси. Межгосударственный сборник научных трудов. 1997, ч. 1, ст. 91-94.
4. ლ.უჯმაჯურიძე, რ.მიტიჩაშვილი, ც.ქილიფთარი. გადაშენების პირზე მყოფი კახური ღორის აღდგენის პირველი შედეგები ეკოლოგიური პროდუქციის მისაღებად. წმიდა გრ.ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული. 2016, ტ. 4, გვ. 262-267.
5. Митичашвили Р.С. Популяционная изменчивость иммуногенетических параметров у аборигенных, заводских и гибридных свиней. Диссертация на соискание ученой степени доктора биологических наук. Ленинград – Пушкин. 1991, 430 ст.
6. Уджмаджуридзе Л.М., Базиладзе Г.В., Поцхверия Ш.О., Митичашвили Р.С. О предварительных результатах изучения сравнительного инвазирования гельминтами аборигенной породы свиней Грузии. Материалы докладов научной конференции «Теория и практика борьбы с паразитарными болезнями. Москва. 2016, вып.17, ст. 473-475.

The restoration works of the Kakhetian swine on the edge of extinction

L. Ujmajuridze- Doctor of Agricultural Sciences,

R. Mitichashvili- Academic Doctor of Biology,

Sh .Potskhveria- Doctor of Veterinary Sciences,

Ts. Kiliptari- Academic doctor of Agriculture

Abstract

The finding, purchasing and reproduction of the Kakhetian swine on the edge of extinction and the formation of the first, experimental group are completed successfully. At present, there are 140 livestock population of Kakhetian swine at the pig farm of the Scientific-Research Center of Agriculture.

In 2015-2017 the slaughter of the Kakhetian swine has been carried out two times, the first Georgian Hamon was produced. In the nearest future, the third slaughter will take place, which includes the manufacture of other meat products except Hamon.

In Georgia, the disease – esophagostomosis, ascariidosis, trichocephalosis and metastrongylosis – are widely spread. The cross-bred swine is more infected by their stimulus (47,7%) than Kakhetian swine (41,1%), which is provoked with a high resistance of the Kakhetian swine organism in forest conditions compared with cross-bred swine and as a result of the adoption of forest vegetable foods, the formation of anti-helminths properties in the gastrointestinal tract is created.